შპს "რულერს სტუდიო" (400275830)

ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N 61 არეალში (ს.კ.01.11.10.006.026) ტერიტორიაზე შპს "კანდიდი" საშუალო სკოლა (209476173) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობისთვის (საოფისე-სავაჭრო/კომერციული) ობიექტი



თბილისი
2025

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
თბილისი 2025 წ

მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

(საოფისე-სავაჭრო/კომერციული)

საკადასტრო კოდი: 01.11.10.006.026

მისამართი: ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N 61

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

ფართობი: 2047.0 კვ.მ

მესაკუთრე(ები): შპს "კანდიდი" საშუალო სკოლა (209476173)

საკადასტრო კოდი: 01.11.10.006.026

ფართობი: 2047.00 კვ.მ

მიზნობრივი დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო

ზონები, რომლებიც ვრცელდება ნაკვეთზე:

ფუნქციური ზონა (ზონები): საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ

ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა: პერიფერიული ზონა;

საპროექტო ობიექტი: საოფისე-სავაჭრო/კომერციული

ფუნქცია/დანიშნულება: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა



განმარტებითი ბარათი

ქ.თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N61, ნაკვ . #01.11.10.006.026 შპს "კანდიდი"-ის საკუთრებაში მრავალფუნქციური შენობისთვის (საოფისე-სავაჭრო/კომერციული) ობიექტის კონსტრუქციული პროექტი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით.

საქართველოს სეისმიური დარაიონების რუკის თანახმად სამშენებლო უბანი მიეკუთნება 8 ბალიან სეისმიურ ზონას.

შენობის გაანგარიშება განხორციელდა საანგარიშო პროგრამით “MONOMAX-САПР”-ით.

საძირკვლების ფუძეთ გამოყენებულია არსებული ნიადაგი: ფენა 2 - სგე I ფიქლისებრი თიხები და არგილიტები, რომლის საანგარიშო მახასიათებლებია:

სიმკრივე - 2.26გ/კვ.სმ.

შეჭიდულობა - 7,6კპა

შიდა ხახუნის კუთხე _ 36გრად.

პირობითი საანგარიშო წიმაღობა _ 450კპა

საძირკვლის ბეტონი B-25 კლასისაა, ბეტონის დამცავი შრე 40მმ.

შენობის ვერტიკალური მზიდი ელემენტებია მონოლითური რკინაბეტონის სვეტები,

სვეტების ბეტონი B-25 კლასისაა და ბეტონის დამცავი შრე 25მმ.

ჰორიზონტალური მზიდი ელემენტები მონოლითური რკინაბეტონის კოჭები, ბეტონი B-25 კლასისაა და ბეტონის დამცავი შრე 25მმ.

გადახურვის ფილები სისქით 180მმ, ბეტონი B-25 კლასისაა და ბეტონის დამცავი შრე 15მმ.

I რიგის სამუშაოები:

I ეტაპი - მოსამზადებელი სამუშაოები

1.1 მოსამზადებელი სამუშაოები: მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, ვადის ათვლიდან პირველ რიგში უნდა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული პირველი რიგის რეკომენდაციები და მოთხოვნები. ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს დროებითი ქსელების მოწყობა და საჭიროების შემთხვევაში მოეწყოს სხვადასხვა მექანიზმებისა თუ ავტოტრანსპორტისათვის გათვალისწინებულის დროებითი მოხრეშილი გზები. ამის შემდეგ.კი უნდა განხორციელდეს:

1.2. დროებითი შენობა-ნაგებობების მონტაჟი. დროებითი საცხოვრებელი ფართის მონტაჟი მუშებისათვის, ასევე განხორციელდეს დროებითი სათავსებისა და აუცილებელი საჭიროების (საპირფარეშო,სააბაზანო) შენობა-ნაგებობების მონტაჟი.სავალდებულოა ეს ყველაფერი მოეწყოს საკადასტრო საზღვრების ფარგლებში წინააგმდეგ შემთხვევაში მესაკუთრე ვალდებულია წარმოადგინოს მეზობელი ნაკვეთის დროებით შესყიდვის ან იჯარით აღების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ნებართვა) ქალაქის ქონების მართვის სამსახურიდან.

1.3. არსებულ ღობეზე დაფა-ბანერის დამაგრება.

1.4. სამშენებლო ტერიტორიის უზრუნველყობა წყლითა და ენერგიით.

1.5. საჭიროების შემთხვევაში მშენებლობისას სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა განხორციელდეს ქალაქის საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებული დროებითი სატრანსპორტო სქემის მიხედვით რომლის მოხსნაც მოხდება მშენებლობის დასრულებისას.

400275830 GEORGIA RULERS STUDIO LTD

II ეტაპი - დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება

2. მოხდეს შენობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება სპეციალისტის მეშვეობით,ამის შემდეგ კი განხორციელდეს შენობის გარე კონტურისა და ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების გრუნტზე სათანადო წესით ფიქსაცია.

II რიგის სამუშაოები:

III ეტაპი - მოსამზადებელი სამუშაოები, ფუძის მოწყობა, საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე და ნულოვან ნიშნულს ზემოთ.

3.1. მიწის სამუშაოების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას უსაფრთხოების ნორმები, ასევე აუცილებელია ქვაბულის ძირში გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის შენარჩუნება

3.2. მიწის სამუშაოების წარმოება და საძირკვლის მოწყობა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად გრუნტის შემადგენლობისა და ქვაბულის დახრის გათვალისწინებით:

I - ნიადაგის ბუნებრივი სახის შენარჩუნების მიზნით სასურველია მოხდეს მიწის ზედაპირის მოხსნა და დროებით დასაწყობება სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით.

II - პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს ჩამჩიანი ექსკავატორით ან ხელით ქვაბულის ამოღება შენობის საძირკვლის ტიპის გათვალისწინებით,პარალელურად უნდა მოხდეს მოჭრილი მიწის ტერიტორიიდან გატანა ან მისი დასაწყობება შემდგომი გამოყენების მიზნით.

3.3. მიწის სამუშაოების შემდეგ საძირკვლის მოწყობამდე უნდა განხორციელდეს შენობის ღერძული დაკვალვა საკადასტრო ხაზების გათვალისწინებით, ასევე აუცილებელია ღერძების დაბმა მოხდეს უძრავ ელემენტებზე, ეს შეიძლება იყოს არსებული მუდმივი ან დროებითი ღობე ან ხელით დამონტაჟებული ლითონის ან ხის ბოძი, რომელიც ასევე აუცილებლად შესაბამისობაში უნდა იყოს საკადასტრო

40027583 GEORGIA RULERS STUDIO LTD

საზღვართან.

3.4. მიწის სამუშაოებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ინჟინერ სპეციალისტინს მოთხოვნები და რეკომენდაციები. მაქსიმალურად იქნას დაცულის უსაფრთხოების ნორმები და ასევე გრუნტის ამოღების ყველა ეტაპი განხორციელდეს საპროექტო შენობის მთავარ კონსტრუქტორთან შეთანხმებით.მოჭრილი მიწა გატანილი იქნას სამშენებლო მოედნიდან.

3.5. მიწის სამუშაოების დასრულების შემდგომ (მას შემდგენ რაც მოხდება საძირკვლის ქვაბულის მოწყობა) უნდა მოიტკეპნოს ქვაბულის ძირი, შემდგომ მასზე მოეწყოს ხრეშ-კენჭნარის 20-30 სმ სისქის ფენობრივად დატკეპნილი ბალიში.შემდგომ მოხდეს მასზე ჰიდროიზოლაციის მონტაჟი, რომელზედაც მოეწობა ბეტონის მოსამზადებელი ფენა.ანალოგიური თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს საძირკვლის ტიპისი მიხედვით მისი სხვა ელემენტების მონტაჟიც. საძირკვლის მოწყობის შემდეგ უნდა განხორციელდეს იატაკის მოწყობის სამუშაოები.

3.6. საძირკვლის ძირითადი ნიშნულები უნდა გაკონტროლდეს გეოდეზიური ინსტრუმენტების გამოყენებით ნიველირით ან თეოდოლიტით.

3.7. საძირკვლის სამუშაოების დასრულებისა და მისი გაშრობის შემდეგ უნდა განხორციელდეს მონოლითური რკინა-ბეტონის სვეტების, რიგელების, სართულსშუა გადახურვების და კიბის მოწყობა. ყველა ტიპის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციისათვის წინასწარ უნდა მოეწყოს ხის (ფიცრის ან ფანერის) ყალიბები. შემდგომ მასში მოხდეს კონსტრუქციული ნახაზის მიხედვით ლითონის არმირება, ხოლო ამის შემდგომ მოხდეს თითოეული კონსტრუქციის დაბეტონება შესაბამისი ნორმებისა და ტექნოლოგიების დაცვით.

სასურველია ზემოაღნიშნული სამუშაოები ჩატარდეს საპროექტო შენობის მთავარი კონსტრუქტორის რეკომენდაციების მიხედვით და ასევე მოხდეს ეტპობრივად აღნიშნული სამუშაოების ფოტო ან ვიდეო საშუალებით დაფიქსირება და ინფორმაციის შენახვა.

3.8. ასევე სავალდებულოა, როგორც მონოლითური სამუშაოების ასევე შემდგომი გარე პერიმეტრის კედლებისა და მოაჯირების მოწყობის დასრულებამდე მოეწყოს დროებითი დამცავი ბადე და ლენტები. ასევე სასურველია ღამის განათებების მოწყობა.

IV ეტაპი - სახურავის მოწყობა: არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები

4.1. კარკასული სამუშაოების დასრულების შემდეგ უნდა მოეწყოს ბრტყელი გადახურვის შესაბამის ფენები. ამის შემდგომ კი უნდა განხორციელდეს სახურავის მოწყობა წყალჩამომყვან სისტემასთან ერთად.

4.2. გადახურვის მოწყობის შემდგომ უკვე შესაძლებელია გარე და შიდა კედლების მსუბუქი ბლოკის წყობით შევსება. გადახურვის ანაკრები რკინაბეტონის ფილების მონტაჟი ხდება ამწის საშუალებით. ხოლო უშუალოდ ფილების აწევა ხდება შესაბამისი ქამრებით.

4.3. ასევე სახურავის მოწყობის შემდგომ შესაძლებელია ისეთი შიდა სამუშაოების დაწყებაც, როგორიცაა სან-ტექნიკისა და ელექტროგაყვანილობის მოწყობა.ასევე შესაძლებელია მოხდეს იატაკის კვიშა ცემენტის ხსნარით მოჭიმვა კედლის ბათქაშითა და პროექტის შესაბამისი მოპირკეთებით დამუშავება და ა.შ.

4.4 გარე ფასადის სამუშაოები უნდა შესრულდეს ვერტიკალურად მიდგუმული სახარაჩოო სისტემით.

4.5. ლითონის მოაჯირები მოეწყოს მაღალი ხარისხის დამუშავებითა და შეღებვით.

V ეტაპი - მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა, ობიექტის დასუფთავება და ჩაბარების წინა სამუშაოები

5.1. შენობის ექსპლუატაციაში მიღება ვერ მოხდება შენობის სრულ დასრულებამდე.

5.2. მშენებლობის წარმოების ბოლო თვეებში უნდა მოხდეს ტერიტორიის

კეთილმოწყობა და სამშენებლო ნაგვის გატანა.

5.3 მშენებლობის ყველა ეტაპი უნდა განხორციელდეს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებული დოკუმენტაციის სრული გათვალისწინებით. დაუშვებელია მშენებლობის წარმოებისას საპროექტო შენობის თვითნებურად შეცვლა კორექტირებისა და შესაბამის პირებსა თუ ორგანიზაციებთან შეთანხმების გარეშე.

5.4. ასევე აუცილებელია ხდებოდეს სამშნებლო მოედანზე უსაფრთხოების სრული კონტროლი.

6. რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები.

6.1. შეუფერხებელი გამართული და უსაფრთხო მშენებლობის წარმოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სამშენებლო მოედნის აღჭურვა თანამედროვე მანქანა დანადგარებითა და ინსტრუმენტებით.

7. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო სამუშაოების წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული "სნ და წ 111-4-80" უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატიული - საკანონმდებლო დოკუმენტაციის მითითებების შესაბამისად. მათგან ძირითადი ყურადგება მახვილდება შემდეგზე: საქართველოში მოქმედი "მშენებლობის უსაფრთხოების წესები" (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 27/05/2014 წ. #361 დადგენილებით.) და სნ და წ ნორმატიულ საკანონმდებლო დოკუმენტაციების მითითებების შესაბამისობით.) კერძოდ:

7.1. სამშენებლო ტერიტორია მუშაობების პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იქნას კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

7.2. ბეტონის ტუმბოს გამოყენებისას ნარევის მოწოდება და ჩალაგება ქარგილებში უნდამოხდეს ერთ მეტრზე ნაკლები სიმაღლიდან.

400275830 GEORGIA RULERS STUDIO LTD

7.3. ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა განხორციელდეს გვერდითა ან უკანა მხრიდან.

7.4.მშენებლობაში საჭიროა სერტიპიცირებული მასალებისა და ნაკეთობების გამოყენება

7.5. ადვილად აალებადი ან მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო მოედანზე არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.

7.6. ყველა იმ სამუშაოების შესრულებისას, როდესაც მუშას შეხება აქვს ჯანმრთელობისათვის საზიანო ნივთიერებებთან ის აუცილებლად აღჭურვილი უნდა იყოს სპეცტანსაცმლით,რესპირატორითა და თავსაბურავით.

7.7. ბეტონის ჩალაგებამდე უნდა მოხდეს ყალიბების მზიდუნარიანობის შემოწმება და ასევე დამცავი ბადეების შემოწმება უსაფრთხოების მიზნით.

7.8. სამშენებლო მასალა-ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების გათვალისწინებით და ჰორიზონტალურ ზედაპირზე მათი შემდგომი მოცურების თავიდან ასარიდებლად.

7.9. ელექტო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტრო კარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ხოლო ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებულ მდგომარეობაში. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია,

7.10. ასევე აკრძალულია ვიბრატორის ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე გადატანა სხვა ადგილას. სამუშაოების დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს მისი მშრალად გაწმენდა.

7.11. სამშენებლო ელექტრო მოწყობილობების ჩართვა საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია.

7.12. სამშენებლო ამწეების ან სხვა მანქანა მექანიზმების მუშაობისას მათ ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

7.13. უცხო პირთა ან სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა

GEORGIA RULERS STUDIO LTD 400275

სამშენებლო მოედანზე ყოფნა სპეციალური ნებათვის გარეშე აკრძალულია.
ასევე ამწე მექანიზმების მუშაობისას მათგან მოშორებით დგება მესიგნალე, რომელიც აწესრიგებს როგორც ფეხით მოსიარულეების გადაადგილებს ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

7.14. აუცილებელია შემზღუდავი სამღვრების მითითება დროებით ღობეზე და სხვა თვალსაჩინო ადგილებშ. და მათი განათების უზრუნველყოფა ღამის საათებში.

8. ეკოლოგია და ბუნებრივი დაცვის საკითხები

8.1. მშენებლობის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.

8.2. საბათქაშო და სამღებრო სამუშაოების დროს აუცილებელია ფასადზე ფარდის ჩამოფარება რათა არ მოხდეს სამშნებლო მტვრის გაბნევა.

8.3. დაუშვებელია არსევულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონის ან სხვადასხვა ხსნარების ჩარეცხვა, ასევე დაუშვებელია მათი დანაგვიანება სამშენებლო ნაგვით.

8.4. ასევე არსებული საკანალიზაციო სისტემის შემთხვევაში მიზანშეწონილი არაა საპირფარეშოს ამოსახაპ ორმოზე მოწყობა და სასურველია მოხდეს მათი დროებითი ჩართვა საკანალიზაციო კოლექტორში.

8.5. აკრძალულია მრავალწლიანი ხე-ნარგავების მოჭრა გარემოს დაცვის სამსახურიდან შესაბამისად დამოწმებული ნებართვის გარეშე.

8.6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო სამუშაოების უნდა განხორციელდეს ჰაერისა და ბუნების დაბინძურების საწინააღმდეგო ნორმების სრული დაცვით მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.



რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები,

მექანიზმები და ინსტრუმენტები

მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

№	დასახელება	მარკა	რაოდენ. ცალი
1	2	3	4
1	მცირე ჩამჩისმოცულობიანი ექსკავატორი ბულდოზერის ფარით	უცხოური წარმოების	1
2	ავტოთვითმცლელი, სპეც. ავტოთრანსპორტი სამშენებლო მასალების შემოსატანად	სხვადასხვა	2
3	ავტოამწე (მობილური) მასალის გადმოსატვირთად და დასასაწყობებლად	სხვადასხვა	1
4	ზედაპირული ვიბრატორი	С -697	1
5	ე.წ. "ბობკატი"	უცხოური წარმოების	1
6	ავტობეტონმრევი მიქსერით	В-5	1
7	გადასატანი კომპრესორი	СО-45	1
8	შესადუღებელი აგრეგატი	СО -48	1
9	ცემენტის ფენის მოსასწორებელი აგრეგატი	СО -89	1
10	შესალეს-მომასწორებელი აგრეგატი	СО -54	2
11	სამშენებლო საწეველა თვირთამწეობით 300კგ, ტვირთის სიმაღლეზე აწევით 30მ	ТП -5	1
12	ელექტროშესადუღებელი აპარატი	კომპ.	1
13	ავტოგენური შედუღების აპარატი	კომპ.	1
14	სამღებრო სადგური	КПС-2	2

15	ხის და ლითონის სახარაჩო სექციები 300მ2	კომპ	20
16	დიზელ გენერატორ 100კვა.	ცალი	1
17	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა	კომპ.	10
18	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ.	20

რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.



შპს "რულერს სტუდიო" (400275830)
georgian.rulers.studio@gmail.com

პროექტის დასახელება	კოტეჯის პროექტი წაღვერში
ექსპლიკაცია	
	საპროექტო ნაკვეთის საკადასტრო (წითელი) ხაზი
შენიშვნა	±0.00 ნიშნულის გეოდეზიური დონე: ზომები მოცემულია სანტიმეტრებში
ობიექტის მისამართი	ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N61 #01.11.10.006.026
ნაწილი	#Subset Name
სტადია	პროექტი
დამკვეთი	შპს "კანდიდი"
დირექტორი	ვ. ოჩხიკიძე V. Ochkhikidze
მთ. არქიტექტორი	ბ. მებაღიშვილი
დაამუშავა	ბ. მებაღიშვილი
საავტორო უფლებები	შპს "რულერს სტუდიო" (400275830) georgian.rulers.studio@gmail.com
ნახაზის დასახელება	#Layout Name
გამოცემა	1.0
ფორმატი	A3
მასშტაბი	1:###
თარიღი	1/12/2026
გვერდი	#LayID

სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი

ქ.თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N61, ნაკვ . #01.11.10.006.026 შპს "კანდიდი"-ის საკუთრებაში მრავალფუნქციური შენობისთვის (საოფისე-სავაჭრო/კომერციული) ობიექტი

სამუშაოთა ჩამონათვალი	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	VIII თვე	IX თვე	X თვე	XI თვე	XII თვე	XIII თვე	XIV თვე	XV თვე	XVI თვე	XVII თვე	XVIII თვე
ძვაბულის დამუშავება და საძირკვლების მოწყობა.																		
1-2სართულის ძირითადი კონსტრუქ-ციული სისტემის მოწყობა																		
გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები																		
შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები																		
ტერიტორიის კეთილმოწყობა																		

საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება დამკვეთის მიერ მოთხოვნილი გონივრული ვადით **T**=18 თვე (1,5 წელი).

ინჟინერ-სპეციალისტი ვახტანგ ოჩხიკიძე

ქ.თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N61, ნაკვ . #01.11.10.006.026 შპს "კანდიდი"-ის საკუთრებაში მრავალფუნქციური შენობისთვის (საოფისე-სავაჭრო/კომერციული) ობიექტის კალენდალური გრაფიკი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით.